

საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2017-2020 წ.წ.

პრიორიტეტული სფერო	განსახორციელებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი/ დამხმარე ორგანიზაციები	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი	სტატუსი	შენიშვნა
1. წყალდიდობების და წყალმოვარდნების საფრთხის რისკის შემცირება	1.1. დედოქრაკი-ამალის ხეობაში მდინარის დონის მაღალი სიზუსტით მზომი ავტომატური ხელსაწყო-დანადგარის მონტაჟის უზრუნველყოფა;	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;	2016	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი;	1 036 000 ლარი	დასრულებული	დაკვირვების სისტემები შესყიდულია და ჩამოსულია საქართველოში. ამჟამად მთავრობის მიერ დედოქრაკზე შესასრულებელი სამუშაოებისთვის საჭირო თანხის გამოყოფის მიზნით, სათანადო დოკუმენტაცია წარდგენილია მთავრობაში.
	1.2. “საქაერონავიგაციის“ მფლობელობაში არსებული მეტეოროლოგიური რადარიდან (განთავსებულია ქ. თბილისში) მიღებული მონაცემების ამინდის პროგნოზირებაში გამოყენების პროგრამული საშუალებების დანერგვის უზრუნველყოფა;	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;	2016-2017	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი;	260 000 ლარი	მიმდინარე	მიმდინარეობს მოლაპარაკებები ტექნიკური საკითხების გადასაწყვეტად.
	1.3. ქ. ქუთაისში მეტეოროლოგიური რადარის შექმნისა და დამონტაჟების უზრუნველყოფა;	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო; ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა;	2016 - 2017	ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა - 2 600 000 ლარი; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი - 300 000 ლარი;	2 900 000 ლარი	მიმდინარე	აშშ-ის მთავრობა მეტეოროლოგიური რადარის შექმნას ახორციელებს საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტოს მეშვეობით. რადარის შექმნა სავარაუდოდ 2017 წლის მარტის თვეში განხორციელდება.

პრიორიტეტული სფერო	განსახორციელებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი/ დამხმარე ორგანიზაციები	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი	სტატუსი	შენიშვნა
	1.4. ორი ერთეული აეროლოგიური კომპლექსის შექმნა/მონტაჟის უზრუნველყოფა;	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;	2018 - 2019	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;	1 000 000 ლარი	დაგეგმილი	ამინდის მაღალგამართლებადი პროგნოზის მომზადების მიზნით, აუცილებელია ატმოსფეროს მაღალ ფენებში მეტეოროლოგიურ პარამეტრებზე დაკვირვებების (აეროლოგიური) წარმოება. ამჟამად საქართველოში საერთოდ არ წარმოებს აეროლოგიური დაკვირვებები. საქართველოს ტერიტორიის აეროლოგიური მონაცემებით გასაშუქებლად საჭიროა მინიმუმ 2 აეროლოგიური კომპლექსის (აეროლოგიური ზონდებიდან სიგნალების მიმღები აპარატურა, აეროლოგიური ზონდები, ლატექსის გარსები, წყალბადგენერატორი) შექმნა და 1 კომპლექსის დასავლეთ და 1 კომპლექსის აღმოსავლეთ საქართველოში დამონტაჟება. საჭიროა ერთჯერადად აეროლოგიური ზონდებიდან სიგნალების მიმღები აპარატურის და წყალბადგენერატორის შექმნა, ხოლო დღე-ღამეში ორჯერადი ზონდირებისთვის ყოველწლიურად 430 000 ლარის ღირებულების აეროლოგიური რადიოზონდების და ზონდების გასაშვებად საჭირო ლატექსის გარსების შექმნა.
	1.5 საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წყალდიდობა/წყალმოვარდნების ჰიდრაულიკური და ჰიდროლოგიური მოდელების შესაქმნელად აუცილებელი კვლევების უზრუნველყოფა;	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო; კლიმატის ადაპტაციის ფონდი;	2017-2020			დაგეგმილი	მიმდინარეობს საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესი.
	1.6. მდ. ვერეს აუზში ჰიდრაულიკური და ჰიდროლოგიური მოდელების უზრუნველყოფა;	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო; გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საქართველოში/გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP);	2016	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საქართველოში/ საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის(UNDP) ბიუჯეტიდან;	40 000 ლარი	დასრულებული	
	1.7 მობილური მეტეოროლოგიური მინი (60-100 კმ რადიუსის ხედვის არის მქონე) რადარების შექმნა/დამონტაჟების უზრუნველყოფა;	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;	2018 - 2019	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;	2 400 000 ლარი	დაგეგმილი	

პრიორიტეტული სფერო	განსახორციელებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი/ დამხმარე ორგანიზაციები	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი	სტატუსი	შენიშვნა
	1.8. მდ. ოცხეზე (ადიგენის მუნიციპალიტეტი - აბასთუმანი) ტოპოგრაფიული და ჰიდრომეტრიული სამუშაოების განხორციელებისა და ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების ორგანიზება;	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;	2018	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;	50 800 ლარი	დაგეგმილი	კურორტ აბასთუმანში, მდინარე ოცხეზე ჰიდროლოგიური დაკვირვებები ხორციელდებოდა XX ს-ის 90-იან წლებამდე. აუცილებელია აღდგეს აღნიშნული სადგური და დაემატოს მეტეოროლოგიური პარამეტრების მზომი ხელსაწყოები. 1 ერთეული ჰიდროლოგიური და 1 ერთეული მეტეოროლოგიური სადგური. აუცილებელია მდინარეზე განხორციელდეს ჰიდრომეტრიული და ტოპოგრაფიული სამუშაოები, ჩატარდეს ჰიდრავლიკური და ჰიდროლოგიური მოდელირება.
	1.8.1. მდ. ოცხეზე (ადიგენის მუნიციპალიტეტი - აბასთუმანი) 1.8 პუნქტში მითითებული სამუშაოების შესრულების შემდეგ ნაპირდაცვითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა;	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2018-2020	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;		დაგეგმილი	საჭირო სახსრები განისაზღვრება შესაბამისი საპროექტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ.
	1.9. მდ. კრიხულაზე (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი - ამბროლაური) ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების ორგანიზება;	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;	2018	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;	25 000 ლარი	დაგეგმილი	ქ. ამბროლაურში ფუნქციონირებს შერეული ტიპის (ავტომატური და მანუალური) მეტეოროლოგიური სადგური, ნიკორწმინდაში მეტეო საგუშაგო. რიონის პროექტის ფარგლებში ჩატარდა ჰიდროლოგიური მოდელირება, რუკაზე დატანილია სხვადასხვა პერიოდის განმეორებადობის დატბორვის ზონები. ნაწილობრივ ჩატარდა ნაპირდაცვითი ღონისძიებები ამბროლაურის ტერიტორიაზე. მდინარე კრიხულაზე ჰიდროლოგიური დაკვირვებები არ ხორციელდებოდა. აუცილებელია დამონტაჟდეს ჰიდროლოგიური სადგური.
	1.9.1. მდ. კრიხულაზე (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი - ამბროლაური) 1.9 პუნქტში მითითებული სამუშაოების შესრულების შემდეგ ნაპირდაცვითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა;	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2018-2020	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;		დაგეგმილი	საჭირო სახსრები განისაზღვრება შესაბამისი საპროექტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ.
	1.10. მდ. გველთახეზე (თიანეთის მუნიციპალიტეტი - ჟებოტა) ტოპოგრაფიული და ჰიდრომეტრიული სამუშაოების განხორციელება და ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების ორგანიზება;	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;	2018	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;	25 800 ლარი	დაგეგმილი	აღსადგენია ჰიდროლოგიური სადგური, ჩასატარებელია ჰიდრომეტრიული და ტოპოგრაფიული სამუშაოები, აგრეთვე ჰიდროლოგიური და ჰიდრავლიკური მოდელირება. მდინარე იორის მარცხენა ნაპირზე ჩასატარებელია ნაპირდამცავი სამუშაოები. მდინარე ქუსნოსხევისა და იორის შეერთების ადგილას 90-იან წლებამდე დაყენებული იყო ჰიდროლოგიური სადგური.
	1.10.1 მდ. გველთახეზე (თიანეთის მუნიციპალიტეტი - ჟებოტა) 1.10 პუნქტში მითითებული სამუშაოების შესრულების შემდეგ ნაპირდაცვითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა;	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საავტომობილო გზების დეპარტამენტი;	2018-2020	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;		დაგეგმილი	საჭირო სახსრები განისაზღვრება შესაბამისი საპროექტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ.

პრიორიტეტული სფერო	განსახორციელებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი/ დამხმარე ორგანიზაციები	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი	სტატუსი	შენიშვნა
	1.11. მდ. კისისხევზე (თელავის მუნიციპალიტეტი - კონდოლი) ტოპოგრაფიული და ჰიდრომეტრიული სამუშაოების განხორციელება და ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების ორგანიზება;	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;	2018	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;	25 800 ლარი	დაგეგმილი	2012-2013 წლებში UNDP-ის პროექტის ფარგლებში თელავის მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა ხევზე ჩატარდა წყალდიდობა/წყალმოვარდნების საფრთხეების გამოვლენის სამუშაოები, შედგა ანგარიშები და გამოიცა დატბორვის რუკები. ქ. თელავში (კისისხევიდან 5კმ-ში) დაყენებულია ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური. ცივგომბორზე, კისისხევის სათავეში დაყენებულია მხოლოდ ქარის სენსორი. ცივგომბორზე დასამატებელია ნალექის, ტემპერატურის მზომი ხელსაწყოები. კისისხევზე ჩასატარებელია ჰიდრომეტრიული და ტოპოგრაფიული სამუშაოები, აგრეთვე სოფ. კონდოლთან ჩასატარებელია ნაპირსამაგრი სამუშაოები.
	1.11.1 მდ. კისისხევზე (თელავის მუნიციპალიტეტი - კონდოლი) 1.11 პუნქტში მითითებული სამუშაოების შესრულების შემდეგ ნაპირდაცვითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა;	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საავტომობილო გზების დეპარტამენტი;	2018-2020	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;		დაგეგმილი	საჭირო სახსრები განისაზღვრება შესაბამისი საპროექტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ.
	1.12. მდ. ლაჯანურზე (ცაგერის მუნიციპალიტეტი - ორბელი) ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების ორგანიზება, ნაპირდაცვითი და კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა;	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;	2018	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;	25 000 ლარი	დაგეგმილი	სოფ. ორბელში, საავტომობილო ხიდის ქვემოთ მარჯვენა ნაპირზე გასაწმენდია მდინარის კალაპოტი, ჩასატარებელია ნაპირდაცვითი ღონისძიებები. სოფ. ორბელში დასამონტაჟებელია მეტეო საგუშაგო. რიონის პროექტის ფარგლებში მდ. ლაჯანურზე, სხვადასხვა განმეორებადობის გათვალისწინებით ჩატარდა ჰიდროლოგიური მოდელირება. მომზადებულია დატბორვის რუკები.
	1.12.1 მდ. ლაჯანურზე (ცაგერის მუნიციპალიტეტი - ორბელი) 1.12 პუნქტში მითითებული სამუშაოების შესრულების შემდეგ ნაპირდაცვითი და კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა;	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საავტომობილო გზების დეპარტამენტი;	2018-2020	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;		დაგეგმილი	საჭირო სახსრები განისაზღვრება შესაბამისი საპროექტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ.
	1.13. მდ. რიონზე (ხობის მუნიციპალიტეტი - ქვემო ჭალადიდი) დამბის დაზიანებული მონაკვეთების იდენტიფიცირება და კვლევითი სამუშაოების ჩატარება	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საავტომობილო გზების დეპარტამენტი;	2018	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;		დაგეგმილი	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს
	1.13.1. მდ. რიონზე (ხობის მუნიციპალიტეტი - ქვემო ჭალადიდი) 1.13. პუნქტში მითითებული სამუშაოების დასრულების შემდეგ დამბის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა;	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საავტომობილო გზების დეპარტამენტი;	2018-2020	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;		დაგეგმილი	საჭირო სახსრები განისაზღვრება შესაბამისი საპროექტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ.

პრიორიტეტული სფერო	განსახორციელებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი/ დამხმარე ორგანიზაციები	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი	სტატუსი	შენიშვნა
	1.14. მდ. რიონზე (ონის მუნიციპალიტეტი - ღები) ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების ორგანიზება;	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საავტომობილო გზების დეპარტამენტი;	2018	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;	25 000 ლარი	დაგეგმილი	საავტომობილო ხიდის ქვემოთ, მდინარის მარცხენა ნაპირზე გასამაგრებელია 150-170 მეტრი სიგრძის მონაკვეთი. მდინარის მარცხენა ნაპირზე, ჩრდილოეთით, საავტომობილო გზა მორეცხილია, შესაძლებელია ზემო დასახლება მოწყდეს გარე სამყაროს. შესაბამისად, გასამაგრებელია აღნიშნული ნაპირი. პატარა ღების დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდი ასამაღლებელია (უნდა გაითვალისწინოს 100 წლიან განმეორებადობის წყლის ხარჯზე). აღსადგენია ჰიდროლოგიური სადგური. სოფ. ღებში დაყენებულია მეტეო საგუმზაგო; ჰიდროლოგიური საგუმზაგო, რომელიც ხიდზე იყო დაყენებული, მდინარემ წაიღო.
	1.14.1 მდ. რიონზე (ონის მუნიციპალიტეტი - ღები) 1.14. პუნქტში მითითებული სამუშაოების შესრულების შემდეგ ნაპირდაცვითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა;	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საავტომობილო გზების დეპარტამენტი;	2018-2020	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;		დაგეგმილი	საჭირო სახსრები განისაზღვრება შესაბამისი საპროექტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ;
	1.15. მდ. ყვირილაზე (საჩხერის მუნიციპალიტეტი - ჭალა) ტოპოგრაფიული და ჰიდრომეტრიული სამუშაოების განხორციელება, ჰიდროლოგიური მოდელირება;	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;	2018	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;	40 800 ლარი	დაგეგმილი	მდინარე ყვირილას მარჯვენა ნაპირზე, სოფლის ცენტრთან 400-500 მეტრ სიგრძეზე გასამაგრებელია ნაპირი. საჭიროა ჩატარდეს ჰიდრომეტრიული და ტოპოგრაფიული სამუშაოები, აგრეთვე ჰიდრაულიკური და ჰიდროლოგიური მოდელირება. საჩხერის მუნიციპალიტეტ სოფ. ჩიხაში ფუნქციონირებს მეტეოროლოგიური სადგური. ხოლო ქ. საჩხერეში, მდინარე ყვირილაზე ჰიდროლოგიური სადგური.
	1.15.1. მდ. ყვირილაზე (საჩხერის მუნიციპალიტეტი - ჭალა) 1.15 პუნქტში მითითებული სამუშაოების შესრულების შემდეგ ნაპირდაცვითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა;	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საავტომობილო გზების დეპარტამენტი;	2018-2020	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;		დაგეგმილი	საჭირო სახსრები განისაზღვრება შესაბამისი საპროექტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ.
	1.16. მდ. ჭერემისხევეზე (გურჯაანის მუნიციპალიტეტი - ჭერემი) ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების ორგანიზება, ტოპოგრაფიული და ჰიდრომეტრიული სამუშაოების განხორციელება, ჰიდროლოგიური მოდელირება;	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;	2018	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;	65 800 ლარი	დაგეგმილი	მდინარე ჭერემისხევეზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგი არ ხორციელდება. საჭიროა ჩატარდეს ჰიდრომეტრიული და ტოპოგრაფიული სამუშაოები, აგრეთვე ჰიდრაულიკური და ჰიდროლოგიური მოდელირება. სოფ. ველისციხესთან საჭიროა მდინარის მარცხენა ნაპირის გამაგრება. ჭერემში საჭიროა დამონტაჟდეს 1 ერთეული მეტეოროლოგიური სადგური.
	1.16.1. მდ. ჭერემისხევეზე (გურჯაანის მუნიციპალიტეტი - ჭერემი) 1.16 პუნქტში მითითებული სამუშაოების შესრულების შემდეგ ნაპირდაცვითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა;	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საავტომობილო გზების დეპარტამენტი;	2018-2020	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;		დაგეგმილი	საჭირო სახსრები განისაზღვრება შესაბამისი საპროექტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ.

პრიორიტეტული სფერო	განსახორციელებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი/ დამხმარე ორგანიზაციები	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი	სტატუსი	შენიშვნა
	1.17. მდ. წინანდლისხევეზე (თელავის მუნიციპალიტეტი - წინანდალი) ტოპოგრაფიული და ჰიდრომეტრიული სამუშაოების განხორციელება, ჰიდროლოგიური მოდელირება;	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;	2018	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;	40 800 ლარი	დაგეგმილი	საჭიროა ჩატარდეს ჰიდრომეტრიული და ტოპოგრაფიული სამუშაოები, აგრეთვე ჰიდროლოგიური და ჰიდროლოგიური მოდელირება. სოფ. წინანდალთან საჭიროა მდინარის მარცხენა ნაპირის გამაგრება. 2012-2013 წლებში UNDP-ის პროექტის ფარგლებში მდ. წინანდლისხევეზე ჩატარდა წყალდიდობა/წყალმოვარდნების საფრთხეების გამოვლენის სამუშაოები, შედგა ანგარიშები და გამოიცა დატბორვის რუკები.
	1.17.1. მდ. წინანდლისხევეზე (თელავის მუნიციპალიტეტი - წინანდალი) 1.17 პუნქტში მითითებული სამუშაოების შესრულების შემდეგ ნაპირდაცვითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა;	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საავტომობილო გზების დეპარტამენტი;	2018-2020	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;		დაგეგმილი	საჭირო სახსრები განისაზღვრება შესაბამისი საპროექტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ.
	1.18. მდ. დურუჯზე უზრუნველყოფილ იქნეს ყორე-ქვით აშენებული კედლის გამაგრება, რკინა-ბეტონის ეკრანის მოწყობა საერთო სიგრძით 1500 მ (მათ შორის, დაახლოებით 200 მ სიგრძეზე ახალი ბეტონის კედლის მშენებლობა), ხეობის ზედა ნაწილში არსებული გაბიონის კედლის დაგრძელება 40-50 მეტრით და მისი ამალეობა 2 იარუსით; კალაპოტის მუდმივი წმენდა – წლიურად არანაკლებ 500 ათასი მ ³ ;	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;	2016-2017	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი	3 000 000 ლარი	მიმდინარე	მიმდინარეობს ყორე-ქვის კედლის რეაბილიტაციის პროექტირება. (საორიენტაციო ღირებულებაში არ შედის კალაპოტის მუდმივი წმენდა) გარდა კალაპოტის ყოველწლიური გაწმენდისა, გადასაწყვეტია გასული წლების განმავლობაში მდინარის მიერ ნატანი მასის, პირველადი შეფასებით მინიმუმ 15 000 000 მ ³ . კალაპოტიდან ამოღება, აღნიშნული საკითხი მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს მთავრობის დონეზე (იხ 2.1 პუნქტი).
1.1. წყალდიდობების მიმართ მზაობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში	1.1.1. მაღალი რისკის შემცველი გეოგრაფიული მდებარეობის სკოლებში პერმანენტული, ან უკიდურეს შემთხვევაში დეკადური/კვარტლური საგანმანათლებლო ღონისძიებების (სიმულაციური ევაკუაცია) გატარების უზრუნველყოფა;	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო/სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო;	2016-2017	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი;		მიმდინარე	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს.
	1.1.2. მშობელთათვის ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგების უზრუნველყოფა;	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო/სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო;	2016-2020	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი;		მიმდინარე	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალისტები უზრუნველყოფენ შესაბამისი სკოლის შერჩევას.
	1.1.3. ცნობიერების ამაღლების მიზნით, კატასტროფებისადმი მიძღვნილი სპეციალური საგანმანათლებლო გადაცემის მომზადება/განთავსების უზრუნველყოფა ტელევიზიაში - წყალდიდობა-წყალმოვარდნების საფრთხის რისკის შემცირების თაობაზე (დივერსიფიცირება/თემატური განაწილება მოხდება სეზონური პრიორიტეტების გათვალისწინებით);	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო/სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს;	2016-2020	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი;		მიმდინარე	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს.

პრიორიტეტული სფერო	განსახორციელებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი/ დამხმარე ორგანიზაციები	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი	სტატუსი	შენიშვნა
	1.1.4. ყოველკვირეული სატელევიზიო საგანმანათლებლო გადაცემის მომზადება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო/სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს;	2016-2020	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი;		მიმდინარე	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს.
2. მეწყერულ-გრავეიტაციული და ღვარცოფული საფრთხეების რისკის შემცირება	2.1. მდ. დურუჯის აუზში განვითარებული ღვარცოფის საშიშროებისაგან დაცვის მიზნით, შემდეგი გადაუდებელი ღონისძიებების გატარება: 1.მდ. დურუჯის კალაპოტის რეგულარულად გაწმენდა-ჩაღრმავება; 2.გაფართოება-გასწორება და წყლის ძირითადი ნაკადის ცენტრალურ (ღერძულ) ნაწილში განთავსება; 3.დამბის ფუძეში გარეცხილი უბნების, ფერდობის დახრამული მონაკვეთების დაზვინვა კალაპოტიდან აღებული ნატანი მასალით; 4.დამბის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა და საჭიროების უბნებში ახლის მოწყობა; 5.მდ. სალმისხეზე მაღალი გამტარობის ერთმალაიანი ხიდის აგება; 6.მდინარის ჭალა-კალაპოტში აკუმულირებული მასალის სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენების ხელშეწყობა;	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;	2016 - 2020			მიმდინარე	ამჟამად მდ. დურუჯის ხეობაში გამოზიდვის კონუსის შუა ნაწილში, მიმდინარეობს ჭალა-კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები, ხოლო ხეობის ზედა ნაწილში ხორციელდება წყალდიდობის საშიშროების ადრეული შეტყობინების სისტემის მონტაჟი პოლონეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.
	2.2. ქ. თბილისის „მუხათგვერდის“ სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე შემდეგი გეოლოგიური კვლევების ჩატარება: 1. ტერიტორიის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები; 2. ბურღვითი სამუშაოები - ჯამში 350 გრძ/მეტრი; 3. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური და გეოტექნიკური მახასიათებლების კვლევა: ა) საველე პირობებში; ბ) ლაბორატორიულ პირობებში. 4. ჰიდროგეოლოგიური კვლევები - მიწისქვეშა წყლების შესწავლა; 5. ტოპოგეოდეზიური აგეგმვა (მასშტაბი: 1:2 000) 6. კომპლექსური გეოფიზიკური კვლევები; 7. შემაჯამებელი საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის დამუშავება შესაბამისი საღონისძიებო რეკომენდაციებით და სპეციალიზებული რუკის შედგენა GIS სისტემაში.	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;	2018 - 8 თვე სამუშაოების დაწყებიდან	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;	160 000 ლარი	დაგეგმილი	2016 წლის მონიტორინგულმა შეფასებამ გვიჩვენა, რომ სიტუაცია უკიდურესად გართულებულია და საშიშროების რისკის ფართობები მნიშვნელოვნად გაზრდილია. რისკის არეალში ექცევა არამარტო მისასვლელი გზები, არამედ სასაფლაოს ტერიტორიის ნაწილი და დიდი დილმის ახალი დასახლების ცალკეული უბნები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა არამარტო დამეწყრილი ცალკეული უბნების, არამედ ვრცელი ტერიტორიის სრულყოფილი საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა და მეწყერის განვითარების თავისებურებებისა და მართვითი ღონისძიებების შემუშავება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის შემოდგომაზე, გარემოს ეროვნულ სააგენტოს გათვალისწინებული აქვს „მუხათგვერდის“ სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე და მიმდებარე ტერიტორიაზე მონიტორინგული ქსელის მოწყობა მეწყერების დინამიკის დადგენის მიზნით.

პრიორიტეტული სფერო	განსახორციელებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი/ დამხმარე ორგანიზაციები	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი	სტატუსი	შენიშვნა
	<p>2.3. მდ. გომბორულას და მდ. თურდოს შორის და გომბორის საულელტეხილო გადასასვლელის მონაკვეთზე განვითარებული მეწყრულ-ღვარცოფული მოვლენების დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ტოპოგრაფიული რუკის მომზადება (არანაკლებ 1:25 000 მასშტაბი); 2. კომპლექსური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები: <ol style="list-style-type: none"> ა) ტერიტორიის სივრცითი საინჟინრო-გეოლოგიური აგებმვა; ბ) ბურღვითი სამუშაოები - 400 გრმ/მეტრი; გ) მიწისქვეშა წყლების დონეების და რეჟიმის შესწავლა; 3. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური და გეოტექნიკური მახასიათებლების კვლევა: <ol style="list-style-type: none"> ა) სავლე პირობებში; ბ) ლაბორატორიულ პირობებში; 4. კომპლექსური გეოფიზიკური კვლევები; 5. სხვადასხვა ხასიათის მეწყრებზე მონიტორინგული ქსელის მოწყობის მიზნით პოლიგონების შერჩევა; 6. შემაჯამებელი საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის დამუშავება შესაბამისი საღონისძიებო რეკომენდაციებით და სპეციალიზებული რუკის შედგენა GIS სისტემაში; 	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;	2018-12 თვე სამუშაოების დაწყებიდან	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;	500 000 ლარი	დაგეგმილი	მდ. გომბორულასა და მდ. თურდოს შორის ტერიტორიის სივრცეში განვითარებულია უკიდურესად რთული და მრავალმხრივი მეწყრული პროცესები და ღვარცოფული მოვლენები, რომლებიც პერიოდულად დიდ ზიანს აყენებს თბილისი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის ამ მონაკვეთს, გომბორის, თეთრი წყლების და კობაძეების სოფლების დასახლებას, მათ ინფრასტრუქტურას და მეურნეობას. ამ ტერიტორიის სრულფასოვანი საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა დღემდე არ მომხდარა, მხოლოდ პერიოდულად ტარდებოდა მონიტორინგული სიტუაციის შეფასება. იმისათვის, რომ დადგინდეს რთული გეოლოგიური პროცესების რეალური სურათი, მათი წარმოშობა-გააქტიურების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, საშიშროების რისკის რეალური სურათი და თუ რა სახის ღონისძიებები შეიძლება გატარდეს არსებული სიტუაციის გასაჯანსაღებლად, აუცილებელია ჩატარდეს დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური და გეოფიზიკური კომპლექსური კვლევები არანაკლებ 1:25 000 მასშტაბში და შედგეს შესაბამისი მასშტაბის სპეციალიზებული რუკები, სათანადო მართვითი ღონისძიებების დასახვით.
	<p>2.4. მდ. იორის მარცხენა შენაკადების თვალთხევის, ანთოკის ხევის და ჩაილურის ხეხეში განვითარებული ღვარცოფული საშიშროების რისკის შესამცირებლად განსახორციელებელი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარება</p> <p>იმისათვის, რომ ოპტიმალურად იქნეს შერჩეული თუ რომელი მდინარის კალაპოტიდან რა რაოდენობის მასალა უნდა იქნეს ამოღებული და რომელი უბნიდან. აუცილებელია წინასწარ იქნეს შესწავლილი და შედგენილი არანაკლებ 1:25 000 მასშტაბის სპეციალური რუკები. ამ თვალსაზრისით, საჭიროა ჩატარებულ იქნეს საინჟინრო-გეოდინამიკური კვლევები ყველა ზემოხსენებული მდინარის აუზში, შესაბამისი ანგარიშის მომზადებით;</p>	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;	2018-3 თვე სამუშაოების დაწყებიდან	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;	130 000 ლარი	დაგეგმილი	

პრიორიტეტული სფერო	განსახორციელებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი/ დამხმარე ორგანიზაციები	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი	სტატუსი	შენიშვნა
	2.5. ქ.ჯვარში 500/220კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობა;	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო;	2016	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი;	18 200 000 ევრო	დასრულებული	შესწავლის სტადიაშია. ამ ადგილებში გაცემულია ლიცენზია თაბაშირის მოპოვებაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ;
	2.6. 220კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა ქ/ს „ჯვარი“ – ქ/ს „ხორგა“ და არსებული 500კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონი“ შეჭრა ქ/ს-ში „ჯვარი“;	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო;	2016-2017	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი;	13 040 000 ევრო	მიმდინარე	500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „იმერეთის“ (ენგური-ზესტაფონი) ზოგიერთი უბანი განთავსებულია მეწყერსაშიშ ზონაში და მისი გამორთვის შემთხვევაში, (არსებული 220 კვ ძაბვის ქსელი ვერ უზრუნველყოფს მის რეზერვირებას). პრობლემის აღმოსაფხვრელად გათვალისწინებულია აღნიშნული ღონისძიების გატარება. ღონისძიება ასევე ემსახურება ელექტროსისტემის საიმედოობისა და მდგრადობის ამაღლებას.
	2.7. 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის "მენჯი -ხორგა" გაორჯაჭვიანება;	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო;	2016	სს „სახელმწიფო ელექტროსისტემა“; მსოფლიო ბანკი;	2 160 000 ევრო	დასრულებული	
	2.8. 220კვ ძაბვის ქუთაისი-წყალტუბოს ელექტროგადამცემი ხაზის გაორჯაჭვიანება;	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო;	2016	სს „სახელმწიფო ელექტროსისტემა“; მსოფლიო ბანკი;	4 393 800 ევრო	დასრულებული	
	2.9. 220კვ ძაბვის ქუთაისი-ზესტაფონის ელექტროგადამცემი ხაზის გაორჯაჭვიანება;	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო;	2016-2017	სს „სახელმწიფო ელექტროსისტემა“; მსოფლიო ბანკი;	3 712 786 ევრო	მიმდინარე	
	2.10. 220კვ ძაბვის მენჯი-ქუთაისის ელექტროგადამცემი ხაზის რეკონსტრუქცია;	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო;	2017	სს „სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მსოფლიო ბანკი	2 000 000 აშშ დოლარი	დაგეგმილი	
	2.11. დედოფლის მეწყერსაშიშ უბანზე 110კვ ძაბვის ქ/ს ყაზბეგი-ქ/ს ლარსიჰესი ელექტროგადამცემი ხაზის რეკონსტრუქცია;	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო;	2016	შპს „დარიალ ენერჯი“;	2 200 000 აშშ დოლარი	დასრულებული	
	2.12. ყუროს საფრთხემცველ მონაკვეთში 1200 მმ გაზსადენის საპაერო (ბაგირული) გადასასვლელის მოწყობა;	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო;	2016-2017	სს „ნავთობისა და გაზის კორპორაცია“;	3 551 000 ლარი	მიმდინარე	ღონისძიება ასევე ემსახურება ელექტროსისტემის საიმედოობისა და მდგრადობის ამაღლებას.

პრიორიტეტული სფერო	განსახორციელებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი/ დამხმარე ორგანიზაციები	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი	სტატუსი	შენიშვნა
	2.13. ხაშური (ვაყა) - ზესტაფონის 700 მმ გაზსადენის 77,4 კმ-იანი მონაკვეთის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო;	2017-2020	სს „ნავთობისა და გაზის კორპორაცია“;	88 000 000 ლარი	დაგეგმილი	მეწყურულ ზონაში მოხვედრილ გაზსადენებზე მიმდინარე და დაგეგმილი სამუშაოების ფარგლებში; ღონისძიება ასევე ემსახურება გაზომარაგების სისტემის საიმედოობის ამაღლებას.
	2.14. ტაბაწყური - ბაკურიანის (ან ვაყა-ბაკურიანის) გაზსადენის მონაკვეთის რეაბილიტაცია;	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო;	2018 -2019	სს „ნავთობისა და გაზის კორპორაცია“;	9 000 000ლარი	დაგეგმილი	ღონისძიება ასევე ემსახურება გაზომარაგების სისტემის საიმედოობის ამაღლებას.
3. ბიოლოგიური საფრთხის რისკის შემცირება	3.1. განსაკუთრებით საშიში ბიოლოგიური პათოგენებით გამოწვეული დაავადებების შემთხვევების ფონური მაჩვენებლის განსაზღვრა და ეპიზოტიკებზე ზედამხედველობის ფარგლებში რუტინულად მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის უზრუნველყოფა;	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/ სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;	მუდმივ რეჟიმში	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბიუჯეტი;		მიმდინარე	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი მუდმივად ახორციელებს ეპიზოტიკებზე ზედამხედველობის პროგრამას, რომელიც ფინანსდება უწყების შიდა ბიუჯეტიდან. ასევე, გარკვეული პროექტების სახით შესაძლოა დახმარება მიღებულ იქნეს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან(WHO, CDC).
	3.2. განსაკუთრებით საშიში ბიოლოგიური პათოგენების ენდემური გავრცელების ლოკაციების რუკის განახლების უზრუნველყოფა;	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/ სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;	მუდმივ რეჟიმში	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბიუჯეტი;		მიმდინარე	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს.
	3.3. ბიოლოგიური ინციდენტების ზოგადი რისკის შეფასების ალგორითმის შედგენის უზრუნველყოფა;	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/ სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;	მუდმივ რეჟიმში	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბიუჯეტი;		მიმდინარე	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს.
	3.4. ბიოლოგიური ინციდენტის, ეპიდემიის/ეპიდემიის/პანდემიის დროს მოსახლეობასთან კომუნიკაციის გეგმის შედგენის უზრუნველყოფა;	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/ სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;	მუდმივ რეჟიმში	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბიუჯეტი;		მიმდინარე	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს.

პრიორიტეტული სფერო	განსახორციელებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი/ დამხმარე ორგანიზაციები	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი	სტატუსი	შენიშვნა
	3.5. ბიოლოგიურ ინციდენტებზე, ეპიდემიის/ეპიდემია/პანდემიაზე რეაგირების გეგმის გადახედვისა და დამტკიცება/განახლების უზრუნველყოფა;	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/ სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;	მუდმივ რეჟიმში	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბიუჯეტი;		მიმდინარე	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს.
	3.6. დაავადება-სპეციფიკური რეაგირების გეგმის შედგენის/განახლების უზრუნველყოფა;	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/ სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;	მუდმივ რეჟიმში	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბიუჯეტი;		მიმდინარე	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს.
	3.7. განსაკუთრებით საშიში პათოგენებით გამოწვეულ დაავადებებზე ეპიზოტიკებზე ზედამხედველობის გაძლიერების, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის უზრუნველყოფა;	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო;	2017	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი;	1 013 000 ლარი	დაგეგმილი	სურსათის ეროვნული სააგენტო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად ახორციელებს განსაკუთრებით საშიში დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, ახორციელებს პროექტებს განსაკუთრებით საშიში პათოგენებით გამოწვეული დაავადებების აღმოჩენისა და პრევენციის შესასწავლად.
	3.8. განსაკუთრებით საშიში პათოგენებით გამოწვეული დაავადებების გავრცელების რუკის შედგენა/განახლება;	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო;	მუდმივ რეჟიმში	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი;	7 000 ლარი ყოველწლიურად	მიმდინარე	
	3.9. ბიოუსაფრთხოებისა და ბიოდაცვის გაძლიერების უზრუნველყოფა სავსე სამუშაოების შესრულების დროს;	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო;	2016-2020	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი;	349 920 ლარი ყოველწლიურად	მიმდინარე	ველზე მომუშავე პერსონალი მუდმივად უნდა გადიოდეს სწავლებას ბიოუსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი აღჭურვილობით.
	3.10. განსაკუთრებით საშიში პათოგენებით გამოწვეული ეპიდემიების დროს მოსახლეობის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა;	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო;	2016-2020	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი;	30 000 ლარი ყოველწლიურად	მიმდინარე	საჭიროების შემთხვევაში სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.
	3.11. განსაკუთრებით საშიში პათოგენებით გამოწვეული დაავადებების რეაგირების გეგმის შედგენის უზრუნველყოფა;	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო;	მუდმივ რეჟიმში	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი;		მიმდინარე	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს. საჭიროების შემთხვევაში სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.

პრიორიტეტული სფერო	განსახორციელებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი/ დამხმარე ორგანიზაციები	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი	სტატუსი	შენიშვნა
	3.12. განსაკუთრებით საშიში პათოგენებით გამოწვეული დაავადებების საწინააღმდეგო ვაკცინების მარაგის შექმნის უზრუნველყოფა;	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო;	2016-2020	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი;	3 223 150 ლარი ყოველწლიურად	მიმდინარე	საქართველოს მეზობელი ქვეყნების ეპიზოოტიური სიტუაციის, ასევე საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გათვალისწინებით, საჭიროა გარკვეული მარაგის შექმნა.
	3.13. ექსპორტ-იმპორტის განხორციელებისას სასაზღვრო კონტროლის ეფექტური ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა;	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო/სსიპ შემოსავლების სამსახური; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო;	მუდმივ რეჟიმში			მიმდინარე	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს.
	3.14. ბიოუსაფრთხოების სახელმძღვანელოს შექმნა;	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო;	2016-2017	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი; დონორი ორგანიზაცია DTRA;	500 ლარი	მიმდინარე	სახელმძღვანელოს შექმნა ხორციელდება აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს დახმარებით. აღნიშნული ბიუჯეტი ითვალისწინებს მხოლოდ სტამბის ხარჯებს.
	3.15. პოტენციური ბიოლოგიური საფრთხის შემცველი სიტუაციების ამოცნობისა და მათზე რეაგირების ერთობლივი ტრენინგების (მათ შორის კრიმინალური და ეპიდემიოლოგიური გამოძიების მიმართულებით – პრაქტიკული კომპონენტი) ჩატარება სამართალდამცველების და ადამიანისა და ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროს პერსონალისთვის;	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;	2016-2020	დონორი ორგანიზაციები;		მიმდინარე	დონორი ორგანიზაციების დახმარებით მუდმივად ხორციელდება დახმარება აღნიშნული ტრენინგების ორგანიზების თვალსაზრისით. დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს.
	3.16. ქბრზ (ბიოლოგიური) პროცესების განვითარების რისკის გათვალისწინებით, მართვის ყველა დონეზე საგანგებო მართვისა და ბიოლოგიური რისკის მართვის გეგმების მომზადება;	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო/ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;	2017-2018	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო/ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ბიუჯეტი;		დაგეგმილი	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს.
	3.17. ბიოლოგიურად საშიში ობიექტების უსაფრთხოების პასპორტებისა და უსაფრთხოების დეკლარაციის წარმოების ორგანიზება, ობიექტებზე ბუნებრივი და ტექნოგენური საგანგებო სიტუაციების განვითარების დროს მოსალოდნელი რისკის იდენტიფიცირებისა და შეფასების ხაზით;	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო/ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო;	2017-2018	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო/, სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ბიუჯეტი;		დაგეგმილი	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს.

პრიორიტეტული სფერო	განსახორციელებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი/ დამხმარე ორგანიზაციები	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი	სტატუსი	შენიშვნა
	3.18. ბიოლოგიური ინციდენტის, ეპიდემიის/ეპიდემიის/პანდემიის დროს განვითარებული საგანგებო სიტუაციების სიმულაციური სავარჯიშოებისა და ტრენინგების პერიოდული ჩატარების უზრუნველყოფა;	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო/სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;	2017-2020	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო/ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ბიუჯეტი;		დაგეგმილი	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს.
	3.19 მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნის მიზნით განსაკუთრებით საშიში ბიოლოგიური პათოგენებით გამოწვეული დაავადებების, ენდემური გავრცელებისა და ლოკაციების შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და ელექტრონულ რუკაზე დატანის უზრუნველყოფა;	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო/სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო;	2016-2020	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო/ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ბიუჯეტი;		მიმდინარე	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს.
4. მიწისძვრის საფრთხის შემცირება	4.1. საქართველოს სეისმური საფრთხის შეფასების უზრუნველყოფა;	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი/დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი/ეროვნული სეისმური მონიტორინგის ცენტრი; MIT; მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი; აშშ;	2016-2017	აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი; ლორენს ლივერმოლის ნაციონალური ლაბორატორია;	100 000 აშშ დოლარი	მიმდინარე	სეისმური და გეოფიზიკური მონიტორინგის სისტემების მოდერნიზაცია გააუმჯობესებს სეისმური საშიშროების რუკის მისაღებად საჭირო გამოთვლების სიზუსტეს. ამჟამად კვლევა ეყრდნობა ანალოგიური ქსელის მონაცემებსა და ბოლო 12 წლის ციფრული ქსელის მასალებს. აუცილებელია ანალოგიური მონაცემების თავიდან დამუშავება გამოთვლების მეტი სიზუსტით ჩასატარებლად. სეისმური საშიშროების რუკა უნდა განახლდეს ყოველ 5 წელიწადში, ახალ დანაკვირვებ მასალაზე დაყრდნობით.
4.1. საქართველოს სივრცითი მოწყობის, ქალაქმშენებლობისა და სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა ევროინტეგრაციის კონტექსტში	4.1.1. საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსის მიღების უზრუნველყოფა;	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ);	2016 - 2017	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ);		მიმდინარე	საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსის პროექტი განსახილველად გადაგზავნილია საქართველოს მთავრობაში.

პრიორიტეტული სფერო	განსახორციელებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი/ დამხმარე ორგანიზაციები	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი	სტატუსი	შენიშვნა
4.2. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა	4.2.1.საქართველოს სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის შემუშავების უზრუნველყოფა: 1.პროცესის ორგანიზაციული ჩარჩოს განსაზღვრა; 2.სივრცითი მოწყობის მეთოდოლოგიაზე შეჯერება; 3.წინასაპროექტო მოსამზადებელი და კვლევითი სამუშაოები; 4.არსებული მდგომარეობის ანალიზი; 5.საერთო ხედვისა და ზოგადი მიზნების შემუშავება; 6.საქართველოს სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის შემუშავება; 7.ზოგადი სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მომზადება; 8.გენერალური სქემის დამტკიცება; 9.გენერალური სქემის პოპულარიზაცია და რეკლამირება.	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;	2016-2020	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაცია;		მიმდინარე	2016 წლის 30 მაისს ჩატარდა სამთავრობო კომისიის N4 სხდომა საქართველოს სივრცითი მოწყობის სქემის შემუშავებასთან დაკავშირებით. სხდომაზე სამსჯელოდ წარმოდგენილი იყო 4 პრეტენდენტი კონსორციუმის წინადადებები. კომისიამ გადაწყვიტა წარმოდგენილი 4 პრეტენდენტიდან მუშაობა გაგრძელდეს კონსორციუმთან - COWI (დანია); ძირითადი და დამხმარე სამუშაო ჯგუფების გაძლიერების მიზნით, კონსორციუმმა წარმოადგინოს უცხოელი და განსაკუთრებით ქართველი სპეციალისტებისა და ექსპერტების კანდიდატურები, მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით და შესაბამისი ორგანიზაციებით; მიმდინარეობს მასალის მთავრობისთვის გასაგზავნად მომზადების პროცესი.
	4.2.2. ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების უზრუნველყოფა;	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;	2016-2017	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბიუჯეტი;	177 000 ლარი	მიმდინარე	საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის №317 განკარგულების - „ბახმაროს საკურორტო ზონის განვითარებისათვის ზოგიერთ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ - შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით, კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების მომწოდებლის შერჩევაზე. გამოვლენილია კონკურსში გამარჯვებული კომპანია - შპს „არტსტუდიო“. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოაცხადებული კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული კომპანიების მიერ უკვე დაწყებულია სამუშაოები ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით.

პრიორიტეტული სფერო	განსახორციელებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი/ დამხმარე ორგანიზაციები	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი	სტატუსი	შენიშვნა
	4.2.3.მესტიის მუნიციპალიტეტისა და მულახის თემის (11 სოფელი: ჭოლაში, არცხელი, ზარდალში, ლახირი, მაჯვდიერი, მურშკელი, ჟაბეში, ჟამუში, ღვებრა, ჩვაბიანი და ცალდაში) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების უზრუნველყოფა;	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;	2016-2018	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბიუჯეტი;	708 000 ლარი	მიმდინარე	საქართველოს მთავრობის 2016 წლის 5 მაისის N773 განკარგულება - „მესტიის მუნიციპალიტეტისა და მულახის თემის განვითარებისათვის ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“; გამოცხადებულია კონკურსი მესტიის მუნიციპალიტეტისა და მულახის თემის (11 სოფელი: ჭოლაში, არცხელი, ზარდალში, ლახირი, მაჯვდიერი, მურშკელი, ჟაბეში, ჟამუში, ღვებრა, ჩვაბიანი და ცალდაში) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით, კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების მომწოდებლის შერჩევაზე. გამოვლენილია კონკურსში გამარჯვებული კომპანია - შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი“. მიმდინარეობს მუშაობა ხელშეკრულებაზე. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოაცხადებული კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული კომპანიების მიერ უკვე დაწყებულია სამუშაოები ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით.
	4.2.4. ახმეტის მუნიციპალიტეტის და თუშეთის დასახლებების - ომალო, დართლო, ფარსმა, გირევი, დოჭუ, ჯვარბოსელი, შენაქო, დიკლო, ინდურთა, ეთელთა და ახმეტის მუნიციპალიტეტის დასახლებების - ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების უზრუნველყოფა;	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ);	2016-2018	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბიუჯეტი; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ);	708 000 ლარი	მიმდინარე	საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის განკარგულება N799 - „ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის განვითარებისათვის ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“; გამოცხადებულია კონკურსი ახმეტის მუნიციპალიტეტის და თუშეთის დასახლებების - ომალო, დართლო, ფარსმა, გირევი, დოჭუ, ჯვარბოსელი, შენაქო, დიკლო, ინდურთა, ეთელთა და ახმეტის მუნიციპალიტეტის დასახლებების - ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით, კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების მომწოდებლის შერჩევაზე. გამოვლენილია კონკურსში გამარჯვებული კომპანია - შპს „სტუდია 21“. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოაცხადებული კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული კომპანიების მიერ უკვე დაწყებულია სამუშაოები ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით.

პრიორიტეტული სფერო	განსახორციელებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი/ დამხმარე ორგანიზაციები	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი	სტატუსი	შენიშვნა
	4.2.5. ბაკურიანისა და დიდი მიტარბის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების უზრუნველყოფა;	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;	2016-2017	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბიუჯეტი;	354 000 ლარი	მიმდინარე	საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის №1373 განკარგულება - „ბაკურიანისა და დიდი მიტარბის განვითარებისათვის საჭირო რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოაცხადა კონკურსი „ბაკურიანისა და დიდი მიტარბის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით“ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების მომწოდებლის შერჩევაზე. გამოვლენილია კონკურსში გამარჯვებული კომპანია - შპს „არქიტექტურული ბიურო“ და მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა.
	4.2.6 თელავის მუნიციპალიტეტის, სოფელ იყალთოში, იყალთოს ხევის განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების უზრუნველყოფა;	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;	2016-2017	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბიუჯეტი;	94 400 ლარი	მიმდინარე	საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის №1182 განკარგულება - „თელავის მუნიციპალიტეტის, სოფელ იყალთოში, იყალთოს ხევის განვითარებისათვის საჭირო რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოაცხადა კონკურსი „იყალთოს ხევის განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების მიზნით“ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების მომწოდებლის შერჩევაზე. გამოვლენილია კონკურსში გამარჯვებული კომპანია - შპს „თავისუფალი არქიტექტორები“ და მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა.
	4.2.7. მუნიციპალიტეტების, დასახლებებისა და სარეკრეაციო ტერიტორიების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების უზრუნველყოფა;	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;	2017-2018	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბიუჯეტი;	2 000 000 ლარი	დაგეგმილი	
4.3. საქართველოში მიწისძვრის საფრთხეების შესახებ, ინკლუზიური კომპონენტის გათვალისწინებით ზაღებში, სკოლებში, უნივერსიტეტებში საგანმანათლებლო თეორიული და პრაქტიკული ღონისძიებები	4.3.1. სკოლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების სწავლების ერთიანი სტრატეგიის/ჩარჩო პროგრამის დასრულების მიზნით, მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის აქტივობების განხორციელების უზრუნველყოფა;	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო/სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; ASB; Save the Children; UNICEF/DRR Center;	2016-2017	ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის „კატასტროფის რისკის შემცირება განათლებაში“ ბიუჯეტი;	ASB - 352 000 ევრო Save the Children - 75 000 ევრო	მიმდინარე	დამატებით დაფინანსებას არ საჭიროებს.

პრიორიტეტული სფერო	განსახორციელებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი/ დამხმარე ორგანიზაციები	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი	სტატუსი	შენიშვნა
